დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 11
თებერვლის №ძ 18 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია
უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 10
მარტის №ძ 19 ბრძანებით

# *შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“*

# *შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა*

2021 წელი

# სარჩევი

*შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა* ..... 3
შესავალი ..... 3
შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები ..... 3
უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა ..... 4
რისკების შეფასება და მართვა ..... 5
დამსაქმებელი ვალდებულებას იღებს: ..... 6
ინციდენტ(ებ)ის მოკვლევა ..... 7
პერსონალის სწავლება ..... 8
მონიტორინგი და ანგარიშგება ..... 8
პირველადი დახმარება ..... 8
დისციპლინური პოლიტიკა ..... 9
შრომის უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები ..... 9
პანდემიის პირობებში რეაგირება ..... 10
საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება ..... 10
უსაფრთხოების წესი ..... 11
სწავლება - ინსტრუქტაჟი ..... 11
დასკვნითი დებულებანი ..... 11

# შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

## შესავალი

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებრო დაწესებულებას და ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია დასაქმებულთა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. ამ მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს არაერთ პროაქტიულ ღონისძიებას და მუდმივ რეჟიმში აწარმოებს სამუშაო პროცესზე დაკვირვებას, შესაძლო უბედური, თუ საშიში შემთხვევების გამორიცხვის მიზნით.

ჩვენი გუნდი ყოველდღიურად ზრუნავს დასაქმებულთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესებაზე, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ(ებ)ი აკონტროლებენ და მართავენ სამუშაო/საწარმოო პროცესებს და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყონებლივ ახდენენ რეაგირებას. სწორედ ეს მიდგომა უზრუნველყოფს უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ქმნის და ინარჩუნებს შესაბამის უსაფრთხო სამუშაო/სასწავლო გარემოს როგორც ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისთვის. შესაბამისი სამუშაო გარემო წარმოადგენს მნიშვნელოვან წინაპირობას, როგორც მომსახურების მიწოდების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე დასაქმებული პერსონალის მოტივაციისათვის. ამიტომ, თანამშრომლების სამუშაო ადგილი მუდმივად მოწმდება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ(ებ)ის მიერ.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა ეფუძნება საქართველოს ორგანულ კანონს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონს „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონმდებლობასა და უნივერსიტეტში მოქმედ სამართლებრივ აქტებს.

## შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიზანია, სამუშაო ადგილ(ებ)ზე დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშესაწყობად უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სისტემის მოწყობის საქმიანობის სხვა მიზნებთან გათანაბრებასა და თავსებადობას. ამასთან, დასახული მიზნების შესაბამისად, ვიღებთ ვალდებულებას დავაწესოთ მკაცრი კონტროლი შრომის უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების ზუსტ და ჯეროვან შესრულებაზე. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები მოიცავს უნივერსიტეტში მოქმედ წესებს და პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო პროცესში დასაქმებულთა და სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სავალდებულოა, როგორც ყველა დასქმებულისათვის, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შემსრულებლებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

ამდენად, შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნებია ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

## უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა

უნივერსიტეტმა შრომის უსაფრთხოებისა სისტემა დანერგა შემდეგი მიზეზების გამო:

1. **მორალური** - როდესაც შრომის უსაფრთხოების არასათანადო სამუშაო გარემოს გამო, მომხდარი შესაძლო უბედური შემთხვევები, ტრავმები თუ პროფესიული დაავადებები დიდ გავლენას ახდენს არა მარტო ამ პირებზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზე, მეგობრებსა და კოლეგებზე, მსგავსი ფაქტები მორალურად მიუღებელია.
2. **სამართლებრივი** - შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა წარმოადგენს სავალდებულო ნორმებს და უნივერსიტეტი მუდმივად მზადაა შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები.
3. **ფინანსური** - შრომის უსაფრთხოების სისტემა უნივერსიტეტს შეუმსუბუქებს და თავიდან აარიდებს შესაძლო უბედურ შემთხვევებთან და პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებულ ხარჯებს. შრომის უსაფრთოების წესების დაუცველობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს უნივერსიტეტს, ასევე შესაძლოა გამოიწვიოს უნივერსიტეტის საქმიანობისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან საქმიანი რეპუტაციის შელახვა.

ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, კორპორატიული პასუხისმგებლობის პრინციპზე დაყრდნობით, უნივერსიტეტში შეიქმნა წინამდებარე შრომის უსაფრთოების პოლიტიკის დოკუმენტი.

უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას შრომის უსაფრთხოების დაცვის მარეგულირებელი ნორმების, ეროვნული თუ საწარმოო წესების შესრულების მიზნით აწარმოოს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა. შრომის უსაფრთხოების სიტემის მთავარ ელემენტებად განვიხილავთ პოლიტიკას, ორგანიზებას, დაგეგმვას, დანერგვას,

შეფასებასა და სრულყოფის ღონისძიებებს. ამასთან, შრომის უსაფრთხოების სისტემა აგებულია შემდეგ მოდელზე (იხ. ცხრილი):




## რისკების შეფასება და მართვა

უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის წილ მაღალ პასუხისმგებლობას, რომ სამუშაო ადგილ(ებ)ზე მუდმივ რეჟიმში შესაძლოა წარმოიქმნას საფრთხეები და მათი საკონტროლო ღონისძიებები მენეჯმენტის მთავარი გამოწვევაა.

რისკის მართვა წარმოადგენს საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით.

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნას პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის საქმიანობაზე.

რისკის შეფასების შედეგად, მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა სახის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამოვლენილი რისკების კოტროლისთვის და როგორია ყველაზე უფრო ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების სტრატეგია.

რისკის მართვის ძირითადი ეტაპებია:

1. რისკ(ებ)ის შეფასება:

1.1. საფრთხის იდენტიფიცირება;

1.2. რისკის დონის განსაზღვრა;
1.3. მონაცემების დოკუმენტირება;
1.4. გადახედვა.
2.რისკების კონტროლის იერარქია:
1.1. აღმოფხვრა;
1.2. ჩანაცვლება;
1.3. საინჟინრო კონტროლი;
1.4. ადმინისტრაციული კონტროლი;
1.5. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

რისკის მართვის ღირებულება უნდა იყოს შესაბამისი იმ სარგებლისა, რაც მიიღება ამ მართვის შედეგად. როდესაც ხორციელდება ხარჯის სარგებელთან შედარება, გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული გარემო და ვითარება. მნიშვნელოვანია, მხედველობაში მიღებულ იქნას ყველა პირდაპირი და ირიბი ხარჯი და სარგებელი, (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური) მოხდეს მათი შეფასება ფინანსური ან სხვა მეთოდით.

## დამსაქმებელი ვალდებულებას იღებს:

1. დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;
2. იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;
3. უზრუნველყოს, რომ შესაძლო ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;
4. აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები ასეთის არსებობისას, შესაძლო პროფესიული დაავადებების შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;
5. გააფრთხილოს სხვა პირები, რომლებიც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე იმყოფებიან, შესაძლო საფრთხის შეცველი სამუშაო პროცესებისგან იყვნენ იზოლირებულად.
6. საჭიროებისას სპეციფიკური სამუშაოს შესრულებისას დასაქმებული აღჭურვოს შესაბამისი დაცვის საშუალებებით.
7. გასწიოს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯი.
8. აწარმოოს სამუშაო პროცესიდან გამომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება, განახორციელოს მუდმივი კონტროლი.

9. თანამშრომელთა შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების შექმნის მიზნით უზრუნველყოს პერსონალის სწავლების ორგანიზება.
10. უზრუნველყოს უნივერსიტეტის თანამშრომლებზე შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების გაცნობა.

## ინციდენტ(ებ)ის მოკვლევა

უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი, რომელიც ეწევა საქმიანობას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების დადგენილი წესების დაცვაზე.

უნივერსიტეტში პროცესების დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობა, ან შეცდომები დგინდება:

- თანამშრომელების თვითკონტროლის საშუალებით;
- დადგენილი ანგარიშგების/რეპორტირების საშუალებით;
- მონიტორინგის/ინსპექტირების/შიდა აუდიტის შედეგად;
- მომხმარებლების რეკლამაციების საშუალებით.

### ინციდენტ(ებ)ის (უბედური შემთხვევების) მოკვლევა

პერსონალს გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი და ჩართულობა ინციდენტ(ებ)ის და საფრთხის ეფექტური მოკვლევის და კორექტირება-პრევენციის პროცესში. ყოველმა მოკვლევამ უნდა გამოავლონოს ვინ? რა? სად? როდის? რატომ?

ინციდენტის მოკვლევა მოიცავს ფაქტების, იდეების, ფიზიკური მტკიცებულებების და თანმხლები ინფორმაციის ობიექტურ შეფასებას, მაკორექტირებელ/პრევენციულ ღონისძიებებს შესაძლო მოხდენის ალბათობის და შედეგების გავლენის შემცირებისათვის. ნებისმიერ ინციდენტის მოკვლევაში ჩართულია დასაქმებული, რომელიც შეესწრო ინციდენტის ფაქტს. ინციდენტ(ებ)ის მოკვლევა დოკუმენტირდება და მტკიცებულებები ინახება. შედეგები ეცნობება დაინტერესებულ მხარეებს.

ინციდენტის მოკვლევა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ინფორმაციის შეგროვება;

- ანალიზი;
- საკონტროლო ღონისძიებების იდენტიფიცირება;
- გამოსასწორებელი ქმედებების დაგეგმვა.

## პერსონალის სწავლება

უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია გაიარონ ინსტრუქტაჟი/სწავლება შრომის უსაფრთხოებაზე, სახანძრო უსაფრთხოებაზე, საგანგებო სიტუაციებისა და ევაკუაციის დროს ქცევის წესებზე. ასევე, შესაბამისმა პერსონალმა უნდა გაიარონ მომზადება კონკრეტული სპეციფიკური სამუშაოსთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებში.
ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გაეცნოს თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და უსაფრთხოების წესებს.
გარკვეულ თანამდებობობის დასაკავებლად აუცილებელია თანამშრომლებს გააჩნდეთ სახელმწიფო ან სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომელიც ადასტურებს პირის კვალიფიკაციას. მაგ: სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა და სხვა.

## მონიტორინგი და ანგარიშგება

გამოვლენილი საფრთხეებისა და რისკების პროფილაქტიკური ღონისძიებების ჯეროვანი განხორციელების შესაბამისობის დადგემის მიზნით უნივერსიტეტში წარმოებს პეიროდული მონიტორინგი. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი ვალდებულია ჩაატაროს შიდა ინსპექტირებები და შეამოწმოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს რისკის შემცირების მიზნით განხორციელებული აქტივობების პროცესი, ასევე აღნიშნული მონიტორინგი ხელს უწყობს ახალი საფრთხეების იდენტიფიცირებას, რაზეც წარმოებს შესაბამისი ანგარიშგება მმართველ რგოლთან. ინსპექტირების შედეგები ჩაინიშნება, დამუშავდება და განიხილება მენეჯმენტთან ერთად, შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელების მიზნით.

## პირველადი დახმარება

უნივერსიტეტი აცნობიერებს შესაძლო რისკებს სამუშაო პროცესში, რის საფუძველზეც პროაქტიულ ღონისძიებად განსაზღვრულია სამუშაო სივრცეში სამედიცინო დახმარების პუნქტი, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური მედიცინის წარმომადგენლ(ებ)ით

და აღჭურვილია შესაბამისი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საშუალებებით.

უნივერსიტეტში წესრიგის დაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და პროცედურა რეგულირდება „შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის წესრიგის დაცვისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების“ საფუძველზე.

## დისციპლინური პოლიტიკა

შრომის უსაფრთხოების სათანადოდ უზრუნველყოფა რთულია გარკვეული ტიპის დისციპლინარული პოლიტიკის გატარების გარეშე. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შენარჩუნებისთვის აუცილებელია, უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა.

უნივერსიტეტში მოქმედი დისციპლინარული პოლიტიკა გამოყენებული იქნება შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.

შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების გამოვლენისას, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად მოქმედებს შემდეგი დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები:

1. გაფრთხილება (პირველი დარღვევისას);
2. შრომითი ანაზღაურებიდან გარკვეული პროცენტის დაქვითვა. შრომითი ანაზღაურებიდან ერთჯერადად დაქვითვის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ანაზღაურების 50 პროცენტს (მეორე დარღვევაზე ან პირველ შემთხვევაში უხეში დარღვევისას) .
3. თანამდებობიდან გათავისუფლება (მესამე დარღვევაზე ან მეორე უხეშ დარღვევაზე).

## შრომის უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნები

მოთხოვნების შემუშავების დანიშნულებაა დადგინდეს და განისაზღვროს შრომის უსაფრთხოების წესები და ინსტრუქციები, სამუშაოთა შესრულების უსაფრთხო მეთოდის და მის შესასრულებლად საჭირო სწავლებების მინიმალური სტანდარტის განსასაზღვრად, რომელიც ტრენინგების სახით უნდა მიეწოდოს უნივერსიტეტში დასაქმებულ პერსონალს. პერსონალს უნდა ჰქონდეს შესაბამისი დონის კვალიფიკაცია (რომელსაც ისინი მიიღებენ თითოეული სწავლების/ტრენინგის დასრულებისას) და ისინი უნდა მოქმედებდნენ შრომის უსაფრთხოების დაცვის შესახებ არსებული ცოდნის შესაბამისად. დასაქმებული ვალდებულია ასევე დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი.

მინიმალური მოთხოვნები უნივერსიტეტის დასაქმებულების მიმართ არის შემდეგი:

1. დაესწრონ შრომის უსაფრთხოების სწავლება-ინსტრუქტაჟს და კარგად გააცნობიერონ გადმოცემული საკითხის მნიშვნელობა;
2. შეინარჩუნონ სამუშაო ადგილზე წესრიგი და სისუფთავე, არ დაუშვან სამუშაო ადგილის გადატვირთვა არასაჭირო საგნებით, ნივთებით და მასალებით;
3. ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების ინსპექტირების პროცესში მათი სამუშაო ადგილის შემოწმებისას;
4. საჭიროებისას მუდმივად გამოიყენონ მათთვის განკუთვნილი სპეციალური პირადი დაცვის აღჭურვილობა და უზრუნველყონ მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება, ხოლო დაზიანების შემთხვევაში, მოახდინონ აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეტყობინება მათი დროულად შეცვლის მიზნით;
5. დაემორჩილონ სამუშაო ადგილზე არსებული უსაფრთხოების ნიშნების მოთხოვნებს;
6. ინციდენტის შემთხვევაში ჩაერთონ ინციდენტის მოკვლევის პროცესში და მიაწოდონ რეალური ინფორმაცია მოკვლევის ორგანიზატორებს;
7. სხვა თანამშრომლების მხრიდან შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის აღმოჩენისას, გააფრთხილონ ისინი მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით, ხოლო წინააღმდეგობის შემთხვევაში აცნობონ ამის შესახებ ხელმძღვანელ პირებს.
8. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღება და არაფხიზელ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის დაშვება.
9. შესაძლო საწარმოო ტრამვის, უბედური შემთხვევის, პროფესიული დაავადების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სერვისების სამსახურს, უშუალო უფროსს და უნივერსიტეტის რექტორს.

## პანდემიის პირობებში რეაგირება

უნივერსიტეტში COVID-19 პანდემიის პირობებში თანამშრომელთა მზადყოფნისა და რეაგირების პროცედურა რეგულირდება „შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის COVID-19 პანდემიის პირობებში თანამშრომელთა მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის“ საფუძველზე.

## საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება

უნივერსიტეტის პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციებზე მუდმივი მზადყოფნისათვის, რეაგირების დაგეგმვისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე მშვიდობიან და ომის შემთხვევაში. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა და პროცედურები განსაზღვრულია

„შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საგანგებო შტაბის წევრთა ფუნქცია-მოვალეობანის“ საფუძველზე.

## უსაფრთხოების წესი

საქართველოში უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად უნივერსიტეტში უსაფრთხოების წესების დაცვა ხორციელდება „შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის“ საფუძველზე.

## სწავლება - ინსტრუქტაჟი

პირ(ებ)ი რომლ(ებ)იც დასაქმდება უნივერსიტეტში, ან დროებით მოწვეულნი/დაქირავებულნი არიან სხვადასხვა სახის სამუშაოების ჩასატარებლად, სამუშაო ადგილზე უტადებათ პირველადი ინსტრუქტაჟი. ინსტრუქტაჟის ჩატარებას უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ(ებ)ი.

თანამშრომლებს ინსტრუქტაჟები უტარდებათ იმ თემატიკით და მოცულობით, რომელებიც აყმაყოფილებენ მათი ძირითადი ან შესათავსებელი სამუშაოების წარმოებისას შრომის უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების ცოდნას. ინსტრუქტაჟ(ებ)ის/სწავლების თემატიკას განსაზღვრავს უსაფრთხოების სპეციალისტ(ებ)ი. ყველა სახის ინსტრუქტაჟის ჩატარების შემდეგ, ჩამტარებლი ამოწმებს მსმენელის მიერ ათვისებულ ცოდნას.

## დასკვნითი დებულებანი

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტს, მის ცვლილებებს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“ შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და რექტორის ბრძანებით.